

პერსონალურ მონაცემთა დაცვის
ინსპექტორის აპარატი

რეკომენდაცია კომერციული ბანკის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ

**რეკომენდაცია
კომერციული ბანკის მიერ
პერსონალური მონაცემების
დამუშავების შესახებ**

2019



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Human Rights 4All



ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

სარჩევი

1. შესავალი	5
2. რა არის პერსონალური მონაცემი? რას ნიშნავს პერსონალური მონაცემის დამუშავება?	8
3. მონაცემთა დამუშავების პრინციპები	9
3.1 კანონიერება და სამართლიანობა	13
3.2 მიზნის შესაბამისობა	14
3.3 ადეკვატურობა და პროპორციულობა	14
3.4 მონაცემთა სიზუსტე	15
3.5 შენახვის ვადა	15
4. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძვლები	17
4.1 საბანკო საიდუმლოება	22
4.2 საკრედიტო ინფორმაცია	27
4.3 განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება	29
5. ინფორმაციის აღრიცხვა, უსაფრთხოება და შენახვის ვადა	32
5.1. აღრიცხვა	32
5.2 მონაცემთა უსაფრთხოება	34
5.3 შენახვის ვადა	35
6. ცვლილებები მონაცემებში; მონაცემთა ნაშლა და განადგურება	38
7. ბანკის შიდა პოლიტიკა და პროცედურები	40
8. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სხვა შემთხვევები	42
9. მომხმარებლის პრეტენზიების განხილვა	43
10. ვინ არის პასუხისმგებელი?	46
11. როგორ უნდა მოემზადოს ბანკი GDPR-ის დასაწერგად?	49



1. შესავალი

თანამედროვე ტექნოლოგიებით გაჯერებულ სამყაროში, პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობა კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. დღევანდელ რეალობაში არა მხოლოდ საბანკო - საფინანსო, არამედ სხვა მრავალი სერვისის მისაღებად, პერსონალური მონაცემების დამუშავება აუცილებელი პირობაა. საბანკო მომსახურების განვითარების პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავება, ფაქტობრივად მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, თავად მონაცემთა სუბიექტი შესაძლოა ვერ აცნობიერებდეს ამ პროცესის მასშტაბებს და შესაძლო შედეგების სავარაუდო გავლენას მის ცხოვრებაზე.

ამ პირობებში კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მონაცემთა დამამუშავებლის მხრიდან პერსონალური მონაცემების პასუხისმგებლიანი დამუშავება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მსოფლიოს განვითარებული ნაწილის მიერ შემუშავებული დეტალური რეგულირება, თუ როგორ და რა მოცულობით შეიძლება მოხდეს

პერსონალური მონაცემების დამუშავება სხვადასხვა სერვისის მიწოდებისას. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ყველაზე დახვეწილი საკანონმდებლო აქტივ კი ვერ მოიცავს ყველა ინდივიდუალურ შემთხვევას და შესაბამის რეგულირებას, კანონმდებელი განსაზღვრავს პრინციპებს, რომელიც უნდა ვრცელდებოდეს პერსონალური მონაცემების ნებისმიერ დამუშავებაზე.

საბანკო სერვისების მიღებისას მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხი ორგვარ დატვირთვას იძენს: ერთის მხრივ, ფინანსური ინსტიტუტი - კომერციული ბანკი, კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების საფუძველზე, დეტალურად სწავლობს მომხმარებელს როგორც საქმიანი ურთიერთობის დამყარებისას, ისე შემდგომაც, ხოლო მეორეს მხრივ, ხდება ახალი ტიპის პერსონალური მონაცემების - პირის საბანკო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის გენერირება. მონაცემთა ავტომატური დამუშავების და ანალიზის ტექნოლოგიური საშუალებების ხელმისაწვდომობის ზრდასთან ერთად, ბანკებს შესაძლოა გაუჩნდეთ ცდუნება მოიპოვონ და დაამუშავონ მომხმარებლის პერსონალური მონაცემები იმგვარად, რომ მოახდინონ მოგების ზრდა რესურსების მინიმალური ხარჯვის პირობებში. აღნიშნული რისკების გათვალისწინებით, კანონმდებელმა განსაზღვრა საბანკო მომსახურებისას პირის პერსონალური მონაცემების დაცვის დამატებითი შრე - „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დებულება, რომელიც ემსახურება კლიენტის საბანკო ინფორმაციის დაცვას.

სწორედ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სფეროში არსებულ მომატებულ რისკებთან დასაპირისპირებლად, ევროკავშირმა პარლამენტმა და საბჭომ შეიმუშავეს მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია¹ (ინგლისურად - **General Data Protection Regulation**; შემდგომში - **GDPR**), რომელიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში უდიდეს ცვლილებას წარმოადგენს ბოლო 20 წლის მანძილზე² და ანაცვლებს 1995 წლის მონაცემთა დაცვის დირექტივას (დირექტივა

1 Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation) <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TX-?qid=1539205242373&uri=CELEX:32016R0679> .

2 <https://eugdpr.org/>

95/46/EC). იმ ფინანსური ინსტიტუტებისთვის, რომელთა მიმართაც რეგულაციამ სავალდებულო ძალა შეიძინა 2018 წლის 25 მაისიდან, GDPR წარმოშობს როგორც ადამიანური, ისე ტექნოლოგიური რესურსების მნიშვნელოვანი ინვესტირების აუცილებლობას. როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის საუკეთესო სტანდარტი, GDPR შესაძლოა, საშუალოვადიან პერსპექტივაში აქტუალური გახდეს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისთვისაც. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნულ კანონმდებლობასაც, რომელიც ევროპულ მიდგომებთან ჰარმონიზაციის თვალსაზრისით მუდმივად პროგრესირებს. აქედან გამომდინარე, ამ დოკუმენტში გარკვეული ყურადღება დაეთმობა იმ სიახლეებსაც, რასაც GDPR ითვალისწინებს კომერციული ბანკებისათვის ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით.

ეს დოკუმენტი მიზნად ისახავს დაეხმაროს საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს მათი კლიენტების პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, უზრუნველყონ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დაცვა.

2. რა არის პერსონალური მონაცემი? რას ნიშნავს პერსონალური მონაცემის დამუშავება?

პერსონალური მონაცემი განმარტებულია როგორც „ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს...“³ ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია უნდა იძლეოდეს პირის - მონაცემთა სუბიექტის პირდაპირ ან არაპირდაპირ იდენტიფიცირების საშუალებას „საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით“.⁴

კომერციული ბანკის (შემდგომში - ბანკი) შემთხვევაში [მომხმარებლის/კლიენტის] პერსონალურ მონაცემების ყველაზე გავრცელებული მაგალითებია პირის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია, საიდენტიფიკაციო დოკუმენტის მონაცემები, დაბადების თარიღი, საქმიანობა, საბანკო ანგარიშის და ოპერაციების შესახებ ინფორმაცია, ფინანსების შესახებ ინფორმაცია და სხვა.

პერსონალური მონაცემის დამუშავება მოიცავს, ფაქტობრივად, ყველა ქმედებას, რასაც ბანკი ახორციელებს მისი საქმიანობის ფარგლებში კლიენტების თაობაზე მოპოვებული ინფორმაციის მიმართ, იქნება ეს კლიენტის იდენტიფიკაცია, ვერიფიკაცია, კლიენტის შესახებ ინფორმაციის განახლება, სხვადასხვა საბანკო სერვისის შეთავაზება და ა.შ..

3 საქართველოს კანონი “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=15> (შემდგომში - კანონი) მუხლი 2, “ა” ქვეპუნქტი.

4 კანონი, მუხლი 2, “ა” ქვეპუნქტი.



3. მონაცემთა დამუშავების პრინციპები

კანონი განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების 5 პრინციპს⁵ და მოითხოვს, რომ მონაცემთა დამუშავების ყველა შემთხვევაში დაცული იყოს აღნიშნული პრინციპები. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით, მონაცემთა დამუშავებელი და უფლებამოსილი პირი ვალდებული არიან უზრუნველყონ მონაცემთა დამუშავება კანონით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად.

მაგალითად, ბანკში ფიზიკური პირის ანგარიშის გახსნის პროცესს არეგულირებს შემდეგი დოკუმენტები:

- „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი;

5 კანონი, მუხლი 4.

- „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საბანკო დანესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის N24/04 ბრძანება;
- კომერციული ბანკის შიდა პოლიტიკა და პროცედურები.

თითოეულ ზემოთ მითითებულ დოკუმენტს რეგულირების თავისი სფერო გააჩნია და მიუხედავად იმისა, რომ, ხშირ შემთხვევაში, ისინი ავსებენ ან არეგულირებენ მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი სამართლებრივი ურთიერთობების კატეგორიას და ემსახურებიან ერთსა და იმავე მიზანს, მათ შორის არ არსებობს სრულფასოვანი დამთხვევა. მცირე შედარებითი ანალიზისთვის, საინტერესოა კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის 21¹ მუხლის მიმართება ზემოჩამოთვლილ დოკუმენტებთან. კომერციული ბანკების კანონის მითითებული მუხლის მიზანია ბანკმა კლიენტის ანგარიშის გახსნა მოახდინოს “უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ” საქართველოს კანონის” მოთხოვნების შესაბამისად. ამასთანავე, იგივე მუხლი ბანკებს უფლებამოსილებას ანიჭებს ანგარიშის გახსნისას “თავად განსაზღვრონ და მოითხოვონ სხვა დამატებითი ინფორმაცია.”⁶ ამავდროულად, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის N24/04 ბრძანება ითვალისწინებს დოკუმენტების ჩამონათვალს, რომელიც უნდა წარადგინოს ფიზიკურმა პირმა⁷ კომერციულ ბანკში ანგარიშის გასახსნელად. იგივე ინსტრუქცია⁸ ითვალისწინებს კომერციული ბანკის უფლებამოსილებას ანგარიშის გასახსნელად მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია. ხშირ შემთხვევაში, ბანკი შიდა პოლიტიკის/პროცედურის მეშვეობით განსაზღვრავს თუ რა ტიპის დამატებით ინფორმაციას მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებში

6 საქართველოს კანონი “კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ”, (შემდგომში - კომერციული ბანკების კანონი) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32962?publication=32> მუხლი 21¹.

7 ინსტრუქცია, მუხლი 6, პუნქტი 4.

8 ინსტრუქცია, მუხლი 10, პუნქტი 11.

კლიენტისგან, თუმცა, აღნიშნული არ გამორიცხავს კომერციული ბანკის უფლებას პოტენციური კლიენტისაგან მოითხოვოს სხვა დოკუმენტები თუ ამ შემთხვევაშიც მონაცემთა დამუშავება უნდა მოხდეს შესაბამისი პრინციპების დაცვით.

კანონის მიზანია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ყველა შემთხვევაში უზრუნველყოს ამ პროცესის წარმართვა მონაცემთა დამუშავების პრინციპების შესაბამისად. აღნიშნული დანაწესის მნიშვნელობა იზრდება სწორედ ისეთ შემთხვევაში, როდესაც კომერციული ბანკი თავად განსაზღვრავს, თუ რა დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია მოითხოვოს კლიენტისგან. ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანია, რომ ბანკის მიერ დამატებითი ინფორმაციის როგორც მოთხოვნისას (მისი საჭიროების განსაზღვრისას), ასევე, მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებისას დაცული იქნეს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების პრინციპები:

- დამატებითი ინფორმაცია, რომელსაც კომერციული ბანკი მოითხოვს, არ უნდა არღვევდეს კანონის მოთხოვნებს, უნდა იყოს სამართლიანი და არ უნდა ლახავდეს მონაცემთა სუბიექტის ღირსებას;
- მოპოვებული დამატებითი ინფორმაციის გამოყენება დაუშვებელია სხვა მიზნებისათვის, თუ ეს შეუთავსებელია ინფორმაციის მოპოვების თავდაპირველ მიზანთან;
- მოპოვებული დამატებითი ინფორმაცია უნდა იყოს ადეკვატური და პროპორციული ანგარიშის გახსნის მიზნისა;
- მოპოვებული დამატებითი ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი;
- ბანკმა მოპოვებული დამატებითი ინფორმაცია არ უნდა შეინახოს უფრო ხანგრძლივი ვადით, ვიდრე აუცილებელია მიზნის მისაღწევად.

გასათვალისწინებელია, რომ განსახილველ შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავების პრინციპების გამოყენებისას, ბანკი ეყრდნობა შეფასებით კატეგორიებს, როგორცაა, მაგალითად “მონაცემთა სუბიექტის ღირსება”, “სამართლიანობა”, “ადეკვატურობა და პროპორციულობა”.

კლიენტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოპოვების მიზანი, ბანკის წინაშე არსებული რისკების⁹ დაზღვევაა. მიუხედავად იმისა, რომ ბანკის მიერ ამ კონტექსტში მოსაპოვებელი დამატებითი ინფორმაციის კონკრეტული და ამომწურავი ჩამონათვალი არ არსებობს, მონიტორინგის განმხორციელებელი პირის (ამ შემთხვევაში - ბანკის) უფლებამოსილებას ამ მიმართულებით შემოფარგლავს როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონი, ასევე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ საქართველოს კანონი. ეს ორი საკანონმდებლო აქტი ითვალისწინებს, რომ მოპოვებული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს მონაცემთა დამუშავების მიზანს¹⁰ და ბანკი უფლებამოსილია მოიპოვოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც რელევანტურია გარიგებასთან ან გარიგების მხარეებთან მიმართებაში.¹¹ თავის მხრივ, თუ რა უნდა იგულისხმოს ბანკმა გარიგებასთან და გარიგების მხარეებთან დაკავშირებულ ინფორმაციაში, უნდა განიმარტოს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე.

ამასთანავე, არსებობს საერთაშორისო პრაქტიკა, სახელმძღვანელო დოკუმენტები და კითხვარების ნიმუშები, რომელიც მნიშვნელოვნად ეხმარება ბანკს მოსაპოვებელი ინფორმაციის შინაარსისა და ფარგლების დადგენაში¹². ბაზელის კომიტეტის სახელმძღვანელო¹³ განსაზღვრავს, რომ ანგარიშის გახსნისას და კლიენტის რისკის პროფილის მინიჭებისას, ბანკმა უნდა გაითვალისწინოს, სულ მცირე, ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორებიცაა, კლიენტის საქმიანობა, შემოსავლის/ფულადი სახსრების წყარო, წარმოშობის

9 მაგ. ფულის გათეთრების კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციების დარღვევის შედეგად სანქცირების რისკი, რეპუტაციული რისკი, და ა.შ.

10 კანონი, მუხლი 4, „ბ“ ქვეპუნქტი.

11 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6, პუნქტი 7.

12 მაგ. ფინანსური ქმედების სამოქმედო ჯგუფის (Financial Action Task Force – FATF) საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოების და მითითებები, ხელმისაწვდომია [http://www.fatf-gafi.org/documents/guidance/?hf=10&b=20&s=desc\(fatf_releasedate\)](http://www.fatf-gafi.org/documents/guidance/?hf=10&b=20&s=desc(fatf_releasedate)); საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის „სახელმძღვანელო ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ჯანსაღი მენეჯმენტის შესახებ,“ ხელმისაწვდომია <https://www.bis.org/bcbs/publ/d405.htm> და ა.შ.

13 საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის „სახელმძღვანელო ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ჯანსაღი მენეჯმენტის შესახებ,“ ხელმისაწვდომია <https://www.bis.org/bcbs/publ/d405.htm>, გვ. 7.

ქვეყანა, იმ საბანკო პროდუქტების ხასიათი, რომლებითაც სარგებლობს ან ისარგებლებს, დაკავშირებული ანგარიშები, დამსაქმებლის ვინაობა და საქმიანობის შინაარსი და ა.შ. ამავე დოკუმენტის დანართი N4,¹⁴ რომელიც ანგარიშის გახსნას ეხება, კონკრეტულად განსაზღვრავს, თუ რა მინიმალური ინფორმაცია/დოკუმენტაცია უნდა მოიპოვოს ბანკმა და რა ინფორმაციის მოპოვებაა სასურველი კლიენტის რისკის პროფილიდან გამომდინარე. ამასთან, თავად დოკუმენტი უთითებს, რომ ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. მაგალითად, ფულადი სახსრების წარმომავლობის დადგენისას, ბანკმა შეიძლება შეიტყოს, რომ ფულადი სახსრები, რაც უნდა განთავსდეს ანგარიშზე, აზარტული თამაშების შედეგადაა მოპოვებული. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ბანკმა უნდა განსაზღვროს მომხმარებლის რისკის პროფილი და აღნიშნულიდან გამომდინარე იმსჯელოს თუ რა სერვისები იქნება მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი, ასევე, მოიპოვოს თუ არა სხვა დამატებითი ინფორმაცია მომხმარებელთან დაკავშირებით და ა.შ.

შესაბამისად, თავად ბანკმა უნდა განსაზღვროს, თუ რა დამატებითი ინფორმაცია სჭირდება მას ამ მიზნის მისაღწევად. ვინაიდან არ არსებობს ამომწურავი, სავალდებულო ხასიათის ჩამონათვალი, იზრდება ბანკის პოლიტიკის როლი ამ მიმართულებით, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება განხილული.

3.1 კანონიერება და სამართლიანობა

მონაცემთა დამუშავების პირველი პრინციპის გამოყენებისას, პროცესი ერთდროულად სამი კრიტერიუმით უნდა იყოს გამყარებული, ესენია: კანონიერება, სამართლიანობა და მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავობა.

ლახავს თუ არა რაიმე კონკრეტული პერსონალური მონაცემის დამუშავება ბანკის მიერ მონაცემთა სუბიექტის ღირსებას, სუბიექტური შეფასების საგანია. თუმცა, საზოგადოებაში დაშვებული ეთიკის ნორმების საფუძველზე, შესაძლოა თავად ბანკმა, ხოლო სუბიექტის მხრიდან გასაჩივრების შემთხვევაში - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა ან სასამართლომ დაადგინოს, თუ

14 იქვე, გვ. 35.

რამდენად შეიძლება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ესა თუ ის კონკრეტული შემთხვევა არღვევდეს პირის ღირსებას. ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას, მონაცემთა სუბიექტის ღირსების დაცვა განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბანკი პერსონალურ მონაცემებს არ აგროვებს უშუალოდ მონაცემთა სუბიექტებისგან (მაგ. მონაცემების დამოუკიდებელ მესამე წყაროებზე დაყრდნობით გადამონმების შემთხვევაში).

3.2 მიზნის შესაბამისობა

მეორე პრინციპის გამოყენება გულისხმობს, რომ მოპოვებული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს ინფორმაციის მოპოვების მიზანს და არ უნდა იქნეს გამოყენებული სხვა თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით. მაგ. თუ ბანკი ანგარიშის გახსნისას დამატებითი ინფორმაციის სახით მოიპოვებს ინფორმაციას პირის ჯანმრთელობის შესახებ (განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების თავისებურებების გათვალისწინებით), უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს, თუ რამდენად შეესაბამება ასეთი მონაცემების მოპოვება ანგარიშის გახსნის მიზანს. ხოლო, თუ დადგინდა, რომ შეესაბამება, მოპოვებული დამატებითი ინფორმაცია არ უნდა იქნეს გამოყენებული ამავე პირისათვის საკრედიტო პროდუქტის შეთავაზების შემთხვევაში.

3.3. ადეკვატურობა და პროპორციულობა

მესამე პრინციპის გამოყენებისას, თავად ბანკი განსაზღვრავს თუ რა მოცულობის ინფორმაციაა ადეკვატური და პროპორციული დასახული მიზნის მისაღწევად. ამ პრინციპის მიზანია ეს პროცესი მოაქციოს ლოგიკურ ჩარჩოებში და მოთხოვნილი ინფორმაციის ადეკვატურობის და პროპორციულობის ბანკის მიერ გამოყენებული სტანდარტი მისაღები და გასაგები იყოს როგორც მონაცემთა სუბიექტისთვის, ისე ყველა ზედამხედველი ორგანოსათვის, რომელსაც შესაძლოა შეხება ჰქონდეს კონკრეტულ შემთხვევასთან. მაგალითისთვის, მეორე პრინციპთან მიმართებაში განხილული პირის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების შემთხვევა საბანკო ანგარიშის გახსნის თვალსაზრისით, დიდი ალბათობით, ვერ დააკმაყოფილებს პროპორციულობის და ადეკვატურობის სტანდარტებს.

3.4 მონაცემთა სიზუსტა


მეოთხე პრინციპი პასუხისმგებლობას ანანილებს როგორც ინფორმაციის დამმუშავებელზე, ასევე მონაცემთა სუბიექტზე: სუბიექტი ვალდებულია დამმუშავებელს მიანოდოს ზუსტი ინფორმაცია, ხოლო დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს ინფორმაციის სიზუსტე, უცვლელობა და, აუცილებლობის შემთხვევაში - განახლება. მაგალითად, მონაცემთა სიზუსტის პრინციპს ეხმიანება ფულის გათეთრებასთან ბრძოლის კანონმდებლობით განსაზღვრული ბანკის ვალდებულება აწარმოოს მუდმივი მონიტორინგი¹⁵. როგორც წესი, ბანკები კლიენტების ინფორმაციის განახლების პერიოდულობას თავიანთი შიდა პოლიტიკით განსაზღვრავენ, კლიენტის რისკის პროფილიდან გამომდინარე. ეს კანონით განსაზღვრული ვალდებულებაა და მონაცემთა სუბიექტისგან ამის შესახებ დამატებითი თანხმობის მოპოვების ვალდებულება არ არსებობს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მუდმივი მონიტორინგის ვალდებულება არ გულისხმობს ბანკის მიერ მხოლოდ იმ ინფორმაციის განახლებას, რაც მასთან უკვე დაცულია. ეს დებულება ბანკს უფლებას ანიჭებს მოიპოვოს ისეთი ინფორმაცია, რაც მას შესაძლოა თავდაპირველად არ დაუმუშავებია, თუმცა, მომხმარებლის რისკის პროფილის ცვლილებიდან ან სხვა საფუძვლიდან გამომდინარე აუცილებლად მიიჩნია მისი მოპოვებაც. ამ პროცესში, მნიშვნელოვანია ზედმინვენით იყოს დაცული მონაცემთა დამუშავების პრინციპები, მათ შორის - მიზანთან შესაბამისობის, პროპორციულობის და კანონიერების, ვინაიდან სწორედ ამ პრინციპებთან შესაბამისობაა ბანკის მიერ კანონის მოთხოვნების დაცვის ტესტი.

3.5 შენახვის ვადა

მეხუთე პრინციპი ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების მხოლოდ იმ ვადით შენახვას, რაც საკმარისია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად ან კანონით დადგენილი ვადით. მეხუთე პრინციპის ცალმხრივი წაკითხვის შემთხვევაში, პირველი დასკვნა იქნებოდა, რომ დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ბანკმა

15 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6, პუნქტი 15.

მოიპოვა ანგარიშის გახსნის მიზნით, “უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ...” ანგარიშის გახსნის შემდეგ. თუმცა, თავად მეხუთე პრინციპი უთითებს კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებზე. შესაძლოა, კანონმდებლობა ადგენდეს კონკრეტული მონაცემების შენახვის სპეციალურ ვადას. მაგალითად, მონაცემთა შენახვის ვადას განსაზღვრავს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი და ამავე კანონის საფუძველზე გამოცემული საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2012 წლის 18 იანვრის N4 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულების 11-ე მუხლი, რომლის თანახმად კლიენტის შესახებ იდენტიფიკაციის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია უნდა იქნას შენახული 6 წლის ვადით, ასევე, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ კომერციული ბანკი ვალდებულია კლიენტების, მათ მიერ და მათ ანგარიშებზე განხორციელებული ნებისმიერი ოპერაციის შესახებ ინფორმაცია ელექტრონული ფორმით შეინახოს არანაკლებ 15 წლის განმავლობაში.



4. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

კანონი უთითებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების 8 საფუძველს.¹⁶ მითითებული საფუძვლებიდან, მხოლოდ რამდენიმე შეიძლება იყოს რელევანტური ბანკის საქმიანობისათვის. ესენია:

- მონაცემთა სუბიექტის თანხმობა;
- მონაცემთა დამუშავების კანონით გათვალისწინებული შემთხვევა;
- მონაცემთა დამუშავება კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად;
- მონაცემთა დამუშავება მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად;

16 კანონი, მუხლი 5.

- მონაცემთა სუბიექტის განცხადების განხილვა და მისთვის მომსახურების განწევა.

ხშირ შემთხვევაში, ბანკს რამდენიმე საფუძველი გააჩნია პერსონალური მონაცემების დასამუშავებლად, თუმცა, უმეტესწილად, კომერციული ბანკის მიერ პირის პერსონალური მონაცემების დამუშავება კანონითაა მოთხოვნილი ან ბანკს აღნიშნული ესაჭიროება კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად. ასეთ შემთხვევებს განეკუთვნება, მათ შორის - იდენტიფიკაცია საბანკო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებამდე (მათ შორის - იმის დასადგენად, განეკუთვნება თუ არა პირი პოლიტიკურად აქტიური პირების კატეგორიას, ასევე FATCA-ს სტატუსი)¹⁷, საბანკო ანგარიშის გახსნა, გარკვეული საბანკო სერვისები ანგარიშის გახსნის გარეშე, რომლებიც საჭიროებენ იდენტიფიკაციას, საბანკო ტრანზაქციების განხორციელება და ა.შ. ამავდროულად, როგორც წესი, ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული საბანკო მომსახურების ხელშეკრულების პირობებზე დათანხმებით, ან, გარკვეულ შემთხვევაში - მატერიალური თუ ელექტრონული ფორმით საგადახდო დავალებაზე დათანხმებით, კლიენტი გამოხატავს თანხმობას მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 17¹ მუხლის თანახმად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომში - სსგს) მონაცემთა ელექტრონული ბაზაში არსებული კლიენტის მონაცემების გადასამონწმებლად, საჭიროა მის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული თანხმობის არსებობა. სავარაუდოა, რომ ასეთი მაღალი ტიპის დაცვა კანონმდებელმა შემოიღო სწორედ სსგს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცული მომხმარებლების პერსონალური მონაცემების მნიშვნელობიდან და მოცულობიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ კომერციული ბანკების კანონის მითითებული მუხლი მიუთითებს მონაცემთა

17 Foreign Account Tax Compliance Act (FATCA) აქტი უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის შესახებ და მის შესაბამისად 2015 წლის 10 ივლისს გაფორმებული „შეთანხმება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ (რეატიფიცირებულია საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 18 სექტემბერი).

დამუშავების მიზანზე. კერძოდ, ამ მუხლზე დაყრდნობით ბანკი სსგს მონაცემთა ბაზას იყენებს კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციისათვის. შესაბამისად, ბანკის კანონისმიერი ვალდებულებაა მოახდინოს კლიენტის იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია კანონის შესაბამისად, ხოლო სსგს მონაცემთა ბაზის გამოყენება, არის უფლება, რომელსაც ბანკი იყენებს კლიენტის შესაბამისი თანხმობის არსებობის შემთხვევაში.

კანონმდებლობა, ასევე, ითვალისწინებს კომერციული ბანკის უფლებას მოითხოვოს და მიიღოს დამატებითი ინფორმაცია, სხვადასხვა ზემოთ აღნიშნული მომსახურების მიწოდებისას. ასეთ შემთხვევაში, ბანკს უნდა გააჩნდეს სათანადო საფუძველი და დასაბუთება, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ბანკის მიერ დამატებითი ინფორმაციის მოპოვება შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და მოქცეულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების ჩარჩოში. მნიშვნელოვანია ბანკმა მკაფიოდ განსაზღვროს, თუ რა ინფორმაციის დამუშავებას ავალდებულებს მას კანონმდებლობა (მაგ. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი და მათ საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტები და ა.შ.) და რა ინფორმაციას ამუშავებს იგი მომხმარებლის განცხადების დამუშავების/მისთვის მომსახურების განევის პროცესში სხვა საფუძველით (მაგ. სასესხო/საკრედიტო, დეპოზიტის, საგადახდო დავალების შესრულებასთან დაკავშირებული და ა.შ. ურთიერთობების კონტექსტში).

საკანონმდებლო მოთხოვნის საფუძველზე ბანკის მიერ მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხი განხილულია სხვადასხვა თავში. რაც შეეხება მონაცემთა სუბიექტის თანხმობით/კლიენტის განცხადების განხილვისას პერსონალური მონაცემების დამუშავების შემთხვევებს (მაგ. საკრედიტო, სადეპოზიტო და საგადახდო პროდუქტები), ამ კონტექსტში მხოლოდ ფორმალური მოთხოვნის - თანხმობის ან შესაბამისი განცხადების არსებობა არ არის საკმარისი მონაცემთა კანონის შესაბამისად დამუშავების უზრუნველსაყოფად. თანხმობის არსებობა არ ნიშნავს, რომ ბანკს უფლება აქვს მოიპოვოს ნებისმიერი ინფორმაცია მომხმარებლის შესახებ, არამედ, მონაცემთა დამუშავების საფუძველის არსებობასთან ერთად, დაცული უნდა იქნეს მონაცემთა დამუშავების პრინციპებიც.

კერძოდ, ბანკის მიერ მომხმარებლის თანხმობით/მისი განცხადების დამუშავების/მომსახურების განევის პროცესში ინფორმაციის მოპოვება უნდა შეესაბამებოდეს კანონიერების, სამართლიანობის პრინციპებს, არ უნდა ლახავდეს მონაცემთა სუბიექტის ღირსებას; უნდა იყოს ზუსტი, უნდა შეესაბამებოდეს სამართალურთიერთობის მიზანს და უნდა იყოს მისი პროპორციული, ანუ არ უნდა მოხდეს ისეთი ინფორმაციის მოპოვება, რაც არარელევანტური ან გადაჭარბებულია ურთიერთობის მიზანთან მიმართებაში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბანკმა ზემოქანმოთვლილი პრინციპების გამოყენება უნდა უზრუნველყოს არა მარტო მომხმარებლის თანხმობით მოპოვებული ინფორმაციის შინაარსთან მიმართებაში, არამედ ინფორმაციის მოპოვების ფორმასა და წყაროებთან მიმართებაშიც. რაც შეეხება შენახვის ვადას, მიუხედავად იმისა, რომ ამ საფუძველებით მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების საფუძველს არ წარმოადგენს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონით“ მონიტორინგის განმხორციელებელი პირისათვის განსაზღვრული ვალდებულება, შენახვის შემთხვევაში, ამგვარად მოპოვებული ინფორმაციის დიდი ნაწილი მოექცევა იმ კატეგორიის ინფორმაციაში, რაც განსაზღვრულია ხსენებული კანონით და „კომერციული ბანკების კატეგორიით კანონით განსაზღვრული ვადებით შესანახ ინფორმაციაში“.

მაგალითად, საკრედიტო პროდუქტის შესახებ პირის განაცხადის დამუშავებისას, შესაძლოა რელევანტური, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში - სავალდებულო, იყოს პირის ოჯახის წევრის შემოსავლის შესახებ ინფორმაცია, ან პირის სხვა ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია, პირის რეგულარული შემოსავლებისა თუ ხარჯების, საკრედიტო პროდუქტის მომსახურების პერსპექტივის განსაზღვრის თვალსაზრისით. თუმცა, ბანკმა უნდა განსაზღვროს თუ რამდენად შეესაბამება მოპოვებული ინფორმაცია ურთიერთობის მიზანს (მაგ. პირის პოლიტიკური შეხედულებების შესახებ ინფორმაციის დამუშავება ამ კონტექსტში ვერ იქნება მიჩნეული ურთიერთობის მიზნის შესაბამისად) და რამდენად პროპორციულია მოპოვებული ინფორმაციის მოცულობა (მაგ. ისეთი უზრუნველყოფის არსებობის პირობებში, რომლის საბაზრო ღირებულება სრულად საკმარისია კანონმდებლობით განსაზღვრული ჯამური ვალდებულებების ლიმიტის დასაფარად, ოჯახის წევრების დამსაქმებლების ფინანსური მდგომარეობის

შესახებ ინფორმაცია, დიდი ალბათობით, ვერ იქნება მიჩნეული პროპორციულად; ოჯახის წევრის შემოსავლის შესახებ ინფორმაციის ან საკონტაქტო პირის პერსონალური მონაცემების დამუშავების შემთხვევაში, კანონის მოთხოვნების ზედმიწევნით დაცვა ამ პირების სათანადო თანხმობის არსებობას გულისხმობს).

ნაკლებად სავარაუდოა, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ბანკს სხვა საფუძვლებითაც¹⁸ მოუწიოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავება. ასეთ შემთხვევებში, მნიშვნელოვანია ბანკი დარწმუნდეს მონაცემთა დამუშავების საფუძვლების არსებობაში, თუმცა, ვინაიდან პერსონალური მონაცემების დასამუშავებლად, აუცილებელია მათი დამუშავების პრინციპების დაცვა, ბანკმა უნდა უზრუნველყოს, რომ ის პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს კანონიერად, სამართლიანად და ამგვარ დამუშავებას გააჩნია კანონიერი მიზანი. მაგალითისთვის, განვიხილოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც მომხმარებელმა გაასაჯაროვა ინფორმაცია მის საბანკო ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ. აღნიშნული პოტენციური დავის არსებობისას ამ კლიენტთან ცალსახად წარმოადგენს ბანკის მიერ პირის მონაცემების დამუშავების საფუძველს, თუმცა, არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ამ გარემოების არსებობისას ბანკის მიერ იგივე ან მსგავსი ინფორმაციის გასაჯაროება კანონიერი იქნება, ვინაიდან ის არ იქნება შესაბამისი კანონიერების და სამართლიანობის, მიზანთან შესაბამისობის, ადეკვატურობის და პროპორციულობის პრინციპებთან. თუ ბანკი, რაიმე მოსაზრებით, რეაგირებს ამგვარად გასაჯაროებულ ინფორმაციაზე, მან უნდა დაიცვას პროპორციულობის და მიზანთან შესაბამისობის სტანდარტი, ანუ გაასაჯაროვოს მხოლოდ ის ინფორმაცია და იმ მოცულობით, რაც უშუალოდ მის ინტერესებს ემსახურება. ამასთან, დაცული უნდა იყოს არა მარტო პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის, არამედ კომერციული ბანკების საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნები. თუ ბანკმა ვერ უზრუნველყო კანონით გათვალისწინებული პრინციპების დაცვა, დიდი ალბათობით, ადგილი ექნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის დარღვევას.

18 “მონაცემთა დამუშავება საქირაო მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად; მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა; მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;

4.1. საბანკო საიდუმლოება

ტერმინი „საბანკო საიდუმლოება“ გამოყენებულია „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 17-ე მუხლში დამოიცავს ინფორმაციას ნებისმიერი გარიგების, განხორციელებული გადახდის ოპერაციის, ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციისა და ნაშთის შესახებ. გასათვალისწინებელია, რომ ტერმინი „გარიგების“ გამოყენება საბანკო საიდუმლოების კონტექსტში მნიშვნელოვნად აფართოებს ამ ცნების ქვეშ დაცული ინფორმაციის არეალს. ერთი შეხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საბანკო საიდუმლოება არ მოიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც არ ხვდება მე-17-ე მუხლით განსაზღვრულ ჩამონათვალში (მაგალითად, პირის იდენტიფიკაციის და ვერიფიკაციის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია, მათ შორის - დამატებითი ინფორმაცია), მაგრამ მეორეს მხრივ, ანგარიშის გახსნა/კლიენტთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება ცალსახად აკმაყოფილებს გარიგების სტანდარტებს. ნიშანდობლივია, რომ კომერციული ბანკების კანონის მე-17 მუხლში გამოყენებული ტერმინი „გარიგება“ არ მოიცავს მხოლოდ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონით გათვალისწინებულ „გარიგებებს“, რადგან ამ უკანასკნელის მიზანი უშუალოდ ფულის გათეთრებასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლაა, ხოლო საბანკო საიდუმლოების დაცვის მიზანია მუხლის მიზანი არის არა მხოლოდ ფულის გათეთრების კანონმდებლობის თვალაზრისით გარიგებების შემოფარგვლა, არამედ პირის მიერ კომერციულ ბანკთან და მისი მეშვეობით განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის დაცვა. ამასთან, საბანკო საიდუმლოების სტანდარტით დაცულია ერთჯერადი გადახდის შესახებ ოპერაციის შესახებ ინფორმაციაც, რაც გულისხმობს ისეთ ტრანზაქციებს, რომლებიც განხორციელდა პირის მიერ ბანკში ანგარიშის გახსნის გარეშე. საბანკო საიდუმლოება მოიცავს, ასევე, პირის საკრედიტო ინფორმაციის დიდ ნაწილს, ვინაიდან, როგორც წესი, საკრედიტო პროდუქტით სარგებლობისას, საბანკო ოპერაციები პირის საბანკო ანგარიშის/ანგარიშების მეშვეობით ხორციელდება. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, კანონმდებლის განზრახვა, დაანესოს დაცვის მაღალი სტანდარტი საბანკო საიდუმლოებასთან მიმართებაში, ვრცელდება კომერციულ ბანკში მომხმარებელთან დაკავშირებით არსებული ინფორმაციის ფართო სპექტრზე.

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი მოიცავს ფართო აკრძალვას პირის კონფიდენციალურ ინფორმაციაზე - საბანკო საიდუმლოებაზე მესამე პირების დაშვებასთან, ამ ინფორმაციის გავრცელებასთან და პირადი მიზნებისთვის გამოყენებასთან დაკავშირებით და ამბობს, რომ არავის აქვს უფლება, დაუშვას ვინმე კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, გათქვას და გაავრცელოს ასეთი ინფორმაცია ან პირადი სარგებლობისათვის გამოიყენოს იგი. ის გარემოება, რომ თავად მუხლი არ აკონკრეტებს, რომ აღნიშნული ვალდებულება ეკისრება მხოლოდ ბანკს, ნიშნავს, რომ ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს საბანკო საიდუმლოების დაცვა მისი თანამშრომლების, ადმინისტრატორების, დაკავშირებული პირების თუ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ.

აღსანიშნავია, რომ პირის საბანკო საიდუმლოება რჩება საბანკო საიდუმლოებად იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი კანონიერად გადაეცა მესამე პირებს: პირის საბანკო ანგარიშზე განხორციელებული ოპერაცია რჩება ასეთად მაშინაც კი, როდესაც ინფორმაცია პირის მიერ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე განხორციელებული ოპერაციების შესახებ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს აღნიშნული საკრედიტო ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებების - გაცემული პრობლემური სესხების დაფარვის - განსახორციელებლად (მაგალითად, მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება, როდესაც პირი ანაცვლებს ბანკს სამართალურთიერთობაში; დავალების ხელშეკრულება, როდესაც პირი მოქმედებს როგორც გარიგების მხარის - ბანკის რწმუნებული, სხვა სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია საბანკო საიდუმლოების მოთხოვნებთან). შესაბამისად, სუბიექტს - მონაცემთა დამმუშავებელს, რომელმაც კანონმდებლობის შესაბამისად მოიპოვა საბანკო საიდუმლოება, ეკისრება ვალდებულება აღნიშნულ ინფორმაციასთან მიმართებაში, დაიცვას როგორც „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული, ასევე - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებები.

თავად „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი მოიცავს ჩამონათვალს იმ შემთხვევებისა, თუ რა შემთხვევებში და რა პირობების დაცვით თუ რა შემთხვევებში და რა პირობების დაცვით უნდა მიენოდოს მესამე პირებს საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია:

- საქართველოს ეროვნული ბანკს - მისი კომპეტენციის ფარგლებში;
- დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს - მისი კომპეტენციის ფარგლებში;
- შესაბამისი გარიგების მონაწილე მხარეს - მაგალითად - თანამსესხებელს;
- ფინანსური მონიტორინგის სამსახურს - კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- გადამხდელს და/ან მიმღებს - გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებით;
- ანგარიშის მფლობელს ან მის წარმომადგენელს - განხორციელებულ გარიგებებთან დაკავშირებით;
- აღმასრულებელს - „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული აღსრულებას დაქვემდებარებული აქტების აღსრულების პროცესში;
- შემოსავლების სამსახურს - შესაბამისი სასამართლოს გადაწყვეტილებისა და FATCA-ს ფარგლებში;
- მესამე პირებს - სასამართლოს შესაბამისი განჩინების საფუძველზე.

ბანკს შეუძლია პირის საბანკო ინფორმაცია ასევე გადასცეს საბანკო ჯგუფში შემავალ პირებს, თუმცა, ამგვარი ფორმით გადაცემული ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად. ვინაიდან ინფორმაციის გამოყენების მიზანი კანონით ცალსახადაა განსაზღვრული, გადაცემული ინფორმაციის შინაარსი და მოცულობა ამ მიზნის პროპორციული უნდა იყოს. შესაბამისად, ინფორმაცია, რომელიც სცილდება კანონით გათვალისწინებულ მიზანს, არ შეიძლება გადაეცეს საბანკო ჯგუფის სხვა წევრს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არსებობს ამ ინფორმაციის გადაცემის ამავე მუხლით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის კონტექსტში, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ვინაიდან საბანკო საიდუმლოებისთვის დაცვის განსხვავებულ რეჟიმია დანესებული, მსჯელობის საგანს წარმოადგენს თუ რამდენად რელევანტურია ბანკის მიერ ამ ინფორმაციის დამუშავების მიმართ იმ საფუძვლებისა და პრინციპების მისადაგება, რასაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონი მოიცავს.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების საბანკო საიდუმლოების მიმართ გამოყენების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ საბანკო საიდუმლოების მუხლი არ შეიცავს პრინციპების ჩამონათვალს, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ საბანკო საიდუმლოება, თავისი შინაარსით, პერსონალური მონაცემების კატეგორიას განეკუთვნება, მისი დამუშავება უნდა მოხდეს პერსონალურ მონაცემების დამუშავების პრინციპების შესაბამისად.

საბანკო საიდუმლოების შემცველი პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში, სწორად უნდა განისაზღვროს საბანკო საიდუმლოებისა და პერსონალურ მონაცემთა კანონით გათვალისწინებული დამუშავების საფუძვლების ურთიერთმიმართება. საბანკო საიდუმლოების დამუშავებისათვის, კანონმდებლობით განისაზღვრა დამუშავების საფუძვლების კონკრეტული ჩამონათვალი. აღნიშნული ნორმა ვიწროდ უნდა განიმარტოს, რათა არ მოხდეს საბანკო საიდუმლოების ცნების ეროზია სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული მონაცემთა დაცვის უფრო დაბალი სტანდარტის ხარჯზე. მაგალითად, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17-ე მუხლი ითვალისწინებს საგადასახადო ორგანოსათვის საბანკო საიდუმლოების გადაცემას მხოლოდ შესაბამისი სასამართლო განჩინების საფუძველზე. ამავდროულად, საქართველოს საგადასახადო კოდექსი¹⁹ ითვალისწინებს საგადასახადო ორგანოს უფლებას (და კომერციული ბანკის შესაბამის ვალდებულებას), რომ მიენოდოს ინფორმაცია მენარმე სუბიექტისათვის ანგარიშის გახსნის თაობაზე. ამავე მუხლითაა²⁰ გათვალისწინებული საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილება მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია მენარმე სუბიექტის მიერ პირველი ანგარიშის გახსნის და ბოლო ანგარიშის დახურვის შესახებ. საგადასახადო კოდექსი არ ითვალისწინებს საგადასახადო

19 საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 71.

20 იქვე, მუხლი 71, პუნქტი 1, „ვ“ ქვეპუნქტი.

ორგანოს მიერ მენარმე სუბიექტის საბანკო ანგარიშის მონაცემების, განხორციელებული ოპერაციების, ანგარიშის ნაშთების, მენარმე სუბიექტის მიერ მიღებული საბანკო პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებას.

მსჯელობის საგანია, თუ რამდენად ხვდება საგადასახადო კოდექსის 70-ე მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია საბანკო საიდუმლოებით დაცული სიკეთეების ჩამონათვალში, ვინაიდან ამავე მუხლით დაკონკრეტებულია მხოლოდ პირველი ანგარიშის გახსნისა და ბოლო ანგარიშის დახურვის შესახებ ინფორმაცია. სადავოა, თუ რამდენად უნდა მოიცავდეს ეს ცნება ანგარიშის ნომერსაც, რომელიც ხვდება კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონის მე-17-ე მუხლით გათვალისწინებული დაცვის ქვეშ. თუ გამოვალთ საგადასახადო ორგანოს მიზნიდან, საგადასახადო კოდექსის მე-17 მუხლის საფუძველზე მიღებული ინფორმაციის მეშვეობით, უზრუნველყოს ინკასოს, როგორც საგადასახადო ვალდებულების აღსრულების მექანიზმის შესრულებადობა, ამ შემთხვევაში ანგარიშის ნომერი არარელევანტურია, ვინაიდან კანონმდებლობაც და პრაქტიკაც საინკასო დავალების გაცემისას პირის საიდენტიფიკაციო ნომერზე დაყრდნობას ითვალისწინებს. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილება სასამართლოს განჩინების გარეშე მიიღოს სტანდარტული სახის ინფორმაცია მენარმე სუბიექტის მიერ პირველი საბანკო ანგარიშის გახსნის და/ან ბოლო საბანკო ანგარიშის დახურვის შესახებ არ უნდა იქნას განხილული საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის მიმართ განსხვავებული რეჟიმის დანესებად.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩავთვლით, რომ საბანკო საიდუმლოების შემცველი პირადი მონაცემების მიმართ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს დამუშავების სხვადასხვა საფუძვლის არსებობას და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 17-ე მუხლით გათვალისწინებული ჩამონათვალი ამომწურავი არ არის, დაცული სიკეთის მნიშვნელობიდან გამომდინარე, გამოყენებულ უნდა იქნეს დაცვის უფრო მაღალი სტანდარტი (რაც, საგადასახადო კანონმდებლობასთან მიმართებაში გულისხმობს შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების არსებობას). აღნიშნულ მოსაზრებას, ასევე, ამტკიცებს კომერციული ბანკების კანონით გათვალისწინებული დებულება, რომ კომერციულ ბანკებთან

დაკავშირებულ ურთიერთობებში ამ კანონსა და სხვა კანონებს შორის კოლიზიის წარმოშობისას გამოიყენება ამ კანონის დებულებანი.²¹

4.2. საკრედიტო ინფორმაცია

საბანკო საიდუმლოების დამუშავების კიდეც ერთი ფორმა პირის საკრედიტო ინფორმაციის საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის გადაცემაა და ეს ვალდებულება გათვალისწინებულია კანონმდებლობით.²² საკრედიტო ინფორმაციაში მოიაზრება ინფორმაცია პირის სესხის/კრედიტის და გარესაბალანსო ვალდებულებების (საბანკო გარანტია, აკრედიტივი და სხვა) შესახებ.²³

ბანკის საქმიანობის თავისებურებიდან გამომდინარე, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე გროვდება დიდი მოცულობის ინფორმაცია პირის საკრედიტო ბარათების, საბანკო კრედიტების, ოვერდრაფტების, დეპოზიტების, თუ სხვა საკრედიტო თუ სადებეტო პროდუქტების შესახებ. გარდა ბანკებისა, სასესხო პროდუქტების შესახებ ინფორმაცია მოიპოვება სხვადასხვა კერძო სამართლის იურიდიულ პირთან, რომლებიც გასცემენ ან იღებენ სესხებს.

პირის საკრედიტო ინფორმაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ პირისათვის საკრედიტო პროდუქტის მიწოდების პროცესში ბანკის რისკების შესაფასებლად. მნიშვნელოვანია ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებები საკრედიტო ინფორმაციის მიმართულებით რეგულირების შემუშავების თვალსაზრისით. ცვლილებების შედეგად, რეგულირების ქვეშ მოექცა როგორც ის სუბიექტი, რომელიც ახდენს საკრედიტო ინფორმაციის აკუმულირებას სხვადასხვა ბანკიდან და საკრედიტო ინსტიტუტიდან - საკრედიტო

21 კომერციული ბანკების კანონი, მუხლი 2, პუნქტი 5.

22 „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 52¹.

23 საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესი. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №193/04 ბრძანება, მუხლი 2, პუნქტი 1, „ე“ ქვეპუნქტი. საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესი. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №195/04 ბრძანება. მუხლი 2, პუნქტი 1, „ბ“ ქვეპუნქტი.

საინფორმაციო ბიურო, ასევე ყველა სუბიექტი, რომლის მიმართაც სასესხო/საკრედიტო დავალიანება გააჩნია ოცზე მეტ ფიზიკურ პირს²⁴; ამასთანავე, ამავე სუბიექტებს განესაზღვრათ საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის პირის საკრედიტო ინფორმაციის მინოდების ვალდებულება; განისაზღვრა საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქმიანობის რეგულირების ნორმები; ასევე, ის მინიმალური სტანდარტები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო, მათ შორის - მონაცემთა უსაფრთხოების თვალსაზრისით. რეგულირების შემდეგი ეტაპი მოიცავს ბანკის მიერ მსესხებელი ფიზიკური პირის გადამხდელუნარიანობის სრულყოფილი შეფასების ვალდებულებას, რაც მნიშვნელოვნად ეყრდნობა ფიზიკური პირის შესახებ საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში დაცულ ინფორმაციას. სწორედ საკრედიტო-საინფორმაციო ბიუროს მიერ დამუშავებული ინფორმაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე.

საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს უფლება აქვს დაამუშავოს პირის არასაკრედიტო ინფორმაციაც, რომელიც, როგორც წესი, საკრედიტო ინფორმაციის თანმდევი. საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს მიერ დამუშავებული ინფორმაციის შინაარსიდან გამომდინარე, განისაზღვრა, რომ მხოლოდ კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებულ სუბიექტს გააჩნია ამ საქმიანობის განხორციელების უფლება. მოქმედებს ბიუროს საქმიანობის წარმართვის დეტალური ჩარჩო, მათ შორის, ნებადართული საქმიანობების ჩამონათვალი, კაპიტალის ოდენობა, ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმები და ა.შ. ინფორმაციის უსაფრთხოების თვალსაზრისით, ბიუროს დაეკისრა ვალდებულება უზრუნველყოს შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურის, ადამიანური და ტექნოლოგიური რესურსების, პოლიტიკებისა და პროცედურების დანერგვა ფინანსური, საოპერაციო, იურიდიული და სხვა რისკების ადეკვატური მართვის, კონტროლისა და მონიტორინგის მიზნით. ბიუროს მიერ “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევა შეიძლება გახდეს ბიუროს რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი. ამავდროულად, ბიუროს მიერ რაიმე საფუძველით საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, მის ხელთ არსებული მონაცემები ეროვნულ ბანკს გადაეცემა. ბიუროს მიერ დამუშავებული მონაცემების დაცვისა და უტყუარობის დაცვის

24 საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 2, “ჰ” ქვეპუნქტი.

მიზნით, გათვალისწინებულია ბიუროს მიერ ბიზნესის უწყვეტობის ჩარჩოს დანერგვა, ასევე მომხმარებელთა პრეტენზიების განხილვის სისტემის ქონის აუცილებლობა.

ბიუროს მიერ პირის საკრედიტო და არასაკრედიტო ინფორმაციის დამუშავების საფუძვლები ემყარება “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პრინციპებს. წესი ითვალისწინებს²⁵, რომ ბიუროსთვის ინფორმაციის მიწოდებამდე, უნდა არსებობდეს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა, ან/და მონაცემთა დამუშავების მიზანი და კანონიერი საფუძველი.

4.3. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება

გარკვეულ შემთხვევებში, ბანკისთვის შესაძლოა ხელმისაწვდომი გახდეს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მისი მომხმარებლის შესახებ (მაგალითად, პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ნასამართლობის შესახებ, პოლიტიკური შეხედულების შესახებ ინფორმაცია). ამ შემთხვევაში, ბანკმა მომეტებული ყურადღება უნდა გამოიჩინოს და მაქსიმალურად დაიცვას კლიენტის ინტერესები - სწორედ ამას ემსახურება კანონმდებლის მიერ განსაზღვრული, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების მოპყრობის განსხვავებული რეჟიმი. ასეთ შემთხვევებს შეიძლება განეკუთვნებოდეს კომერციული ბანკის გარკვეული ტიპის დასაქმებულების (მაგალითად, ადმინისტრატორის) შესაფერისობის შესწავლის შემთხვევაში - პირის ნასამართლეობის შესახებ მონაცემის დამუშავება. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი დამსაქმებელს საშუალებას აძლევს დაამუშავოს ნასამართლობასთან დაკავშირებული პირადი მონაცემები იმ შემთხვევაში თუ ეს აუცილებელია შრომითი ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე.²⁶ ვინაიდან კანონმდებლობა ითვალისწინებს ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმებს, ადმინისტრატორის მიერ თანხმობის გაუცემლობა ან გამოთხოვა განსაკუთრებული ტიპის ინფორმაციის დამუშავებაზე

25 საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესი. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №195/04 ბრძანება. მუხლი 5.

26 კანონი, მუხლი 6, პუნქტი 2, „ა“ ქვეპუნქტი.

(მიუხედავად იმისა, რომ ბანკის ეს უფლება კანონმდებლობითაა გათვალისწინებული), შესაძლებელია გახდეს შრომითი ურთიერთობის გადახედვის საფუძველი, რადგან ბანკს არ ექნება რწმუნება, რომ ადმინისტრატორი აკმაყოფილებს შესაფერისობის კრიტერიუმებს და, შესაბამისად, არ არღვევს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

ადმინისტრატორის ნასამართლეობის მსგავსად, საბანკო ანგარიშების მონიტორინგის შემთხვევაში, განსაკუთრებული ტიპის პირადი მონაცემების დამუშავების საფუძველი კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. ამ შემთხვევაშიც, ბანკმა მხოლოდ იმ მოცულობით და ვადით უნდა დაამუშავოს ამ პროცესში მოპოვებული მონაცემები, რაც შესაბამისობაშია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპებთან. კანონმდებლობა მკაფიოდ განსაზღვრავს თუ რა ვადით შეიძლება გაგრძელდეს ამ საპროცესო მექანიზმის გამოყენება, თუმცა ეს ვადა სავალდებულოა მხოლოდ საგამოძიებო ორგანოსთვის. კომერციული ბანკისათვის საბანკო ანგარიშების მონიტორინგის პროცესში დამუშავებული ინფორმაცია, როგორც წესი, არ უნდა წარმოადგენდეს ღირებულებას საბანკო მომსახურების განვების კონტექსტში. თუ ბანკი მოიპოვებს და/ან ინახავს ამ ტიპის ინფორმაციას, ვინაიდან ამის საფუძველს ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად არ ქმნის არც საბანკო მომსახურების შინაარსი, არც საბანკო ანგარიშის მონიტორინგის მექანიზმი, ბანკს უნდა გააჩნდეს ძალიან მყარი საფუძველი და დასაბუთება ამ ინფორმაციის დამუშავებისთვის.

იმ შემთხვევაში, როდესაც ჯანმრთელობის დაზღვევა სახელშეკრულებო (მაგალითად, სასესხო/საკრედიტო) ურთიერთობების წინაპირობაა, ბანკს შესაძლოა ხელი მიუწვდებოდეს პირის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციაზეც. რთულია განზოგადებული სტანდარტის დადგენა ამ ტიპის სახელშეკრულებო ურთიერთობის თავისებურებების გათვალისწინებით, თუმცა, ვინაიდან მზღვეველთან ურთიერთობა ცალკე გარიგების საგანია, სასესხო/საკრედიტო ურთიერთობიდან გამომდინარე თავისი უფლებამოსილების განსაზღვრისას, ბანკი უნდა დაეყრდნოს მზღვეველის გადაწყვეტილებას და უნდა მოერიდოს პირის ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების მოპოვებას ან შენახვას, თუნდაც სადაზღვევო შემთხვევიდან გამომდინარე. აღნიშნული, რა

თქმა უნდა, არ გამორიცხავს ბანკის უფლებამოსილებას საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით მოიპოვოს და დაამუშავოს ინფორმაცია, თუმცა მიზნის შესაბამისობის და პროპორციულობის პრინციპებიდან გამომდინარე, აღნიშნული უნდა ხდებოდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში (მაგალითად, საფუძვლიანი ვარაუდი არასწორი ინფორმაციის მინოდებასთან დაკავშირებით) და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების ზედმინევენით დაცვით.



5. ინფორმაციის აღრიცხვა, უსაფრთხოება და შენახვის ვადა

5.1. აღრიცხვა

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს²⁷ ბანკის მიერ მომხმარებლების და მათ მიერ განხორციელებული ოპერაციების რეგისტრაციას და აღრიცხვას, თუმცა კანონით დაკონკრეტებული არ არის თუ რა სისტემით უნდა განხორციელდეს ეს. ბანკს გარკვეულ თავისუფლებას მონაცემთა აღრიცხვის ფორმასთან მიმართებაში, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიც ანიჭებს. ასევე განსაზღვრავს, რომ ბანკმა თითოეული ფაილური სისტემის შესახებ უნდა აწარმოოს ფაილური სისტემის კატალოგი. ფაილური

²⁷ კომერციული ბანკების კანონი, მუხლი 23.

სისტემა არის კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით დაჯგუფებული მონაცემთა სტრუქტურის მქონე ნაწილი. ფაილური სისტემის კატალოგი უნდა შეიცავდეს ფაილური სისტემის სტრუქტურის და შინაარსის აღწერას, კერძოდ რა ტიპის ინფორმაციას მოიცავს ფაილური სისტემა და რა პრინციპითაა იგი დალაგებული, რა ვადით უნდა იქნეს შენახული ინფორმაცია, და ა.შ., ხოლო თავის მხრივ, ფაილური სისტემის კატალოგები აღიწერება ფაილური სისტემის კატალოგების რეესტრში და მას აწარმოებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი. მომხმარებელთა პერსონალური მონაცემები საინფორმაციო აქტივების კატეგორიას განეკუთვნება ISO 27001²⁸-ის მიზნებისთვისაც. ხსენებული სტანდარტი, ისევე როგორც GDPR, ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების, როგორც საინფორმაციო აქტივის აღწერის და აღრიცხვის ვალდებულებას. საინფორმაციო აქტივების აღრიცხვის მიზანია ბანკმა იცოდეს, თუ რა მონაცემებს ფლობს ის, ხოლო ამის საფუძველზე უზრუნველყოს როგორც კანონთან შესაბამისობა (მაგალითად, ზედმეტი ინფორმაციის წაშლა, დაბლოკვა ან განადგურება), ასევე მონაცემთა უსაფრთხოების დაცვა.

მაგალითისთვის, თუ ავიღებთ საკრედიტო ბარათების მომხმარებელთა მონაცემების შესახებ ფაილურ სისტემას, იგი უნდა მოიცავდეს ბანკის იმ მომხმარებლების კატეგორიის შესახებ ინფორმაციას, რომლებიც სარგებლობენ საკრედიტო ბარათით; ამ ფაილური სისტემის კატალოგი უნდა აღწერდეს თუ რა ლოგიკითაა ინფორმაცია დაჯგუფებული და რას შეიცავს იგი.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი არ განსაზღვრავს თუ რა შინაარსის და რომელი ფაილური სისტემები უნდა გააჩნდეს ბანკს. თუმცა, კანონის ცალსახა მოთხოვნაა, რომ თუ არსებობს მონაცემთა გარკვეული კრიტერიუმით სტრუქტურირებულ მონაცემთა ერთობლიობა, ამ ფაილური სისტემის კატალოგის არსებობა სავალდებულოა.

28 International Organization for Standardization; ISO/IEC 27000 family - Information security management systems; <https://www.iso.org/isoiec-27001-information-security.html>

5.2. მონაცემთა უსაფრთხოება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი ითვალისწინებს მონაცემთა დამმუშავებლის ვალდებულებას უზრუნველყოს მონაცემთა დაცვა განადგურებისგან, შეცვლისგან, მესამე პირების მიერ უკანონოდ მოპოვებისგან, გამჟღავნებისგან და მიიღოს საამისოდ შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები. მონაცემთა დამმუშავებელი, ასევე, ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით შენახული პერსონალურ მონაცემებზე განხორციელებული ქმედებების ლოგირება. ბანკი, როგორც მონაცემთა დამმუშავებელი, ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს სტანდარტი. ამასთან, ბანკის მიერ დანერგილი უსაფრთხოების სისტემა არსებული რისკების შესაბამისი უნდა იყოს.

ბანკების საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებიდან, ამ მიმართულებით, რელევანტურია კომერციული ბანკების მიერ საოპერაციო რისკების მართვის შესახებ დებულება.²⁹ დებულება განსაზღვრავს ბანკის ვალდებულებას ჰქონდეს საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩო, რომელიც მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა:

- საოპერაციო რისკების იდენტიფიკაცია და განმარტება;
- რისკების მიტიგაცია;
- მატერიალიზებული რისკების აღრიცხვა;
- საინფორმაციო სისტემების მართვა;
- ბიზნეს უწყვეტობის მართვა;
- სიზუსტის რისკის მართვა და ა.შ.

ვინაიდან პერსონალური მონაცემების გამჟღავნების ან კანონდარღვევით დამმუშავების რისკი საოპერაციო რისკების კატეგორიას განეკუთვნება, კომერციული ბანკის მიერ ამ რისკების მიმართ გატარებული ღონისძიებები უნდა ექცეოდეს

²⁹ დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 13 ივნისის №47/04 ბრძანებით.

ბანკის საოპერაციო რისკების ჩარჩოში და ბანკს უნდა გააჩნდეს ამ რისკების მიტიგაციის მექანიზმები. ბანკის მიერ საოპერაციო რისკების ეფექტური მართვა, მათ შორის, გულისხმობს ბანკში არსებული პერსონალური მონაცემების უცვლელობის და სიზუსტის უზრუნველყოფას, ბიზნეს უწყვეტობის ინცინდენტის არსებობისას - მონაცემთა აღდგენის შესაძლებლობას. ვინაიდან ბანკში პერსონალურ მონაცემთა დამუშავება, როგორც წესი, მეტწილად საინფორმაციო სისტემების მეშვეობით ხდება, პერსონალურ მონაცემთა დასამუშავებლად გამოყენებული საინფორმაციო სისტემები უნდა აკმაყოფილებდნენ ბანკის საინფორმაციო სისტემების მიმართ დებულებით განსაზღვრულ სტანდარტებს სისტემების ადეკვატურობის, უსაფრთხოების, რისკებთან შესაბამისობის, განახლებადობის და საინფორმაციო-ტექნოლოგიური აუდიტის თვალსაზრისით. ბანკის საოპერაციო რისკების ჩარჩო ასევე უნდა ითვალისწინებდეს საოპერაციო რისკების დანაკარგების მონაცემთა ბაზის არსებობას, რაც პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან მიმართებაში გულისხმობს პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავების შემთხვევების აღრიცხვას, შემდგომი პრევენციის მიზნით მათი ანალიზის ჩასატარებლად.

5.3. შენახვის ვადა

მონაცემთა შენახვა მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთი ფორმაა, შესაბამისად, ისიც ექცევა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფეროში. მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია, რომ მონაცემთა დამმუშავებელი არ არის უფლებამოსილი შეინახოს მონაცემები უფრო მეტი ვადით, ვიდრე ეს აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. როგორც წესი³⁰, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი არ აწესებს რაიმე კონკრეტულ ვადას მონაცემთა შენახვისათვის, თუმცა როდესაც არსებობს სხვა საკანონმდებლო აქტით განსაზღვრული ინფორმაციის შენახვის ვადა, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ ვადით.

30 კანონი; მუხლი 14. შენობაში შესვლის და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მონაცემების შენახვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ბანკი ვალდებულია კლიენტების, მათ მიერ და მათ ანგარიშებზე განხორციელებული ნებისმიერი ოპერაციის შესახებ ინფორმაცია ელექტრონული ფორმით შეინახოს არანაკლებ 15 წლის განმავლობაში. აღნიშნული მუხლი არ ანებს ბანკის ვალდებულებას მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტები და ინფორმაცია გადაიყვანოს ელექტრონულ ფორმატში. შესაბამისად, ეს ვადა ვრცელდება მხოლოდ იმ ინფორმაციაზე, რომელიც ბანკში მოიპოვება ელექტრონული ფორმით, მაგ. ამონაწერი ბანკის საოპერაციო სისტემიდან, კლიენტის შესახებ ბანკში ელექტრონული ფორმით დაცული ინფორმაცია, მაგ. სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზებიდან მოპოვებული მომხმარებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და ა.შ. ამასთანავე, აღნიშნული თხუთმეტწლიანი ვადის ათვლის წერტილი არ არის დაკავშირებული რაიმე კონკრეტულ ვალდებულებასთან. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ინფორმაციის შექმნიდან 15 წლის გასვლის შემდეგ ინფორმაცია ექვემდებარება ნაშლას, იმ შემთხვევაში, თუ მიღწეულია მონაცემთა დამუშავების მიზანი და ამავდროულად, არ არსებობს მონაცემთა უფრო ხანგრძლივი ვადით შენახვის საკანონმდებლო საფუძველი.

ფულის გათეთრებასთან ბრძოლის კანონმდებლობა ითვალისწინებს მონაცემთა შენახვის ექვსწლიან ვადას. ამასთან, შენახვას ექვემდებარება გარიგების მონაწილე მხარეების იდენტიფიკაციის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის - ბენეფიციარის შესახებ, ასევე, გარიგების/გარიგებების, გარიგების განხორციელების მცდელობის შესახებ ინფორმაცია. ექვსწლიანი ვადის ათვლის წერტილად აღებულია კლიენტთან საქმიანი ურთიერთობების განწყვეტის მომენტი. ამასთან, საზედამხედველო ორგანოს მოთხოვნით აღნიშნული ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს. თუ ინფორმაციის შენახვის ვადები არაერთგვაროვნადაა განსაზღვრული, ბანკი ვალდებულია დააკმაყოფილოს ინფორმაციის შენახვის ვადების მიმართ არსებული უფრო მაღალი მოთხოვნა, შესაბამისად, თუ საქმიანი ურთიერთობების განწყვეტის შემდეგ 6-წლიანი ვადა უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ელექტრონული ფორმით არსებული ინფორმაციისათვის განსაზღვრული 15-წლიანი ვადა, ამ შემთხვევაში,

ბანკი ვალდებულია იხელმძღვანელოს უკანონო შემოსავლის აღკვეთის ხელშეწყობის კანონმდებლობით გათვალისწინებული 6-წლიანი ვადით.

პირის საკრედიტო ინფორმაციის შენახვის ვალდებულება ეკისრება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს და ვადები განსაზღვრულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, რომელიც ითვალისწინებს პირის საკრედიტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ბიუროს მომხმარებლებისათვის 5 წლის ვადით თუ მოთხოვნა ვადაგადაცილებულია, ხანდაზმულია, გაუქმებულია ან ინფორმაციის მიწოდება შეწყვეტილია, ხოლო ინფორმაცია ბიუროს ბაზებში შენახული უნდა იქნეს 35 წლის განმავლობაში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონით გათვალისწინებული პრინციპი და კანონმდებლობით განსაზღვრული ვადა ურთიერთ-შემავსებელია და კომბინაციაში, გულისხმობს, რომ მონაცემთა დამმუშავებელს უფლება არ აქვს შეინახოს პერსონალური მონაცემები კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, ვინაიდან პერსონალურ მონაცემთა დამმუშავების მიზანი მიღწეულია და კანონით გათვალისწინებული ვადა - ამოწურული.



6. სვიდეოები მონაცემები; მონაცემთა წაშლა და ბანაღბურება

მონაცემთა სიზუსტე მონაცემთა დამუშავების ერთერთი პრინციპია. სწორედ სიზუსტის უზრუნველსაყოფად, მონაცემთა სუბიექტს მიენიჭა უფლება, ხოლო მონაცემთა დამმუშავებელს დაეკისრა ვალდებულება, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.³¹ ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს მონაცემთა შესაბამისი გასწორება და განახლება ყველა იმ მხარის მიერ, ვისაც მან გადასცა პერსონალური მონაცემები. უშუალოდ საბანკო საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები არ არეგულირებენ მონაცემებში ცვლილებების შეტანის საკითხს. თუმცა, ვინაიდან პერსონალურ მონაცემთა არაკანონიერად დამუშავებისა და სიზუსტის რისკები საოპერაციო რისკების კატეგორიას განეკუთვნება, ბანკის მიერ პერსონალური მონაცემების სიზუსტის და დაცულობის უზრუნველყოფა საოპერაციო რისკების

31 კანონი, მუხლი 22, პუნქტი 1.

ჩარჩოს ნაწილი უნდა იყოს. ამასთანავე, ბანკი ვალდებულია დაიცვას კანონით გათვალისწინებული ვადები და პროცედურა. სწორედ სიზუსტის პრინციპიდან გამომდინარე, ბანკს მინიჭებული აქვს უფლება დასაბუთებული უარი უთხრას მომხმარებელს მონაცემებში ცვლილების შეტანაზე.

თუ ბანკი თავად აახლებს მონაცემებს კლიენტთან დაკავშირებით, ან შეაქვს რაიმე ცვლილება, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს კლიენტისთვის.

მონაცემთა განადგურება ერთერთი ის ცნებაა, რასაც მოიცავს ტერმინი მონაცემთა დამუშავება. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ითხოვს მონაცემთა ცვლილებას ან განადგურებას, ბანკი ვალდებულია შეასრულოს ეს მოთხოვნები, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ არ არსებობს სხვა უპირატესი ინტერესი, რომელიც ხელს უშლის მოთხოვნილი ქმედების განხორციელებას. მაგალითად, თუ მომხმარებელი მოითხოვს საკრედიტო ინფორმაციის ცვლილებას, ნაშლას ან განადგურებას, ბანკს უფლება აქვს უარი უთხრას მომხმარებელს აღნიშნული მოთხოვნის შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ ცვლილების შედეგად მონაცემები გახდება არაზუსტი, ხოლო განადგურების ან ნაშლის შემთხვევაში - არ გასულა ინფორმაციის შენახვის კანონით გათვალისწინებული ვადა, ან ბანკის მიერ მონაცემების შენახვა აუცილებელია ბანკის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

თავად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი უშვებს საგამონაკლისო შემთხვევას და კლიენტის უფლება მოითხოვოს მონაცემთა ნაშლა ან განადგურება არ ვრცელდება იმ ინფორმაციაზე, რომელიც შეეხება ფულადი ვალდებულების შესრულებას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება კლიენტის თანხმობის საფუძველზე იყოს დამუშავებული.³² საკრედიტო ინფორმაციის თავისებურებიდან გამომდინარე, ვინაიდან მას დამატებითი როლი ენიჭება კლიენტის გადახდისუნარიანობის ანალიზის თვალსაზრისით, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებთან ერთად მხედველობაშია მისაღები იმ გამსესხებელთა ინტერესები, რომლებიც არიან საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში არსებული საკრედიტო ინფორმაციის მომხმარებლები.

32 კანონი, მუხლი 25, პუნქტი 3.




7. ბანკის შიდა პოლიტიკა და პროცედურები

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, კომერციული ბანკების საქმიანობის, ფულის გათეთრებასთან ბრძოლის კანონმდებლობა და მათ საფუძველზე შემუშავებული სამართლებრივი აქტები ბანკს აძლევენ ფართო დისკრეციას კანონიდან გამომდინარე უფლებების გამოყენებაში. ამავდროულად, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ბანკის საბაზრო უპირატესობა კლიენტებთან მიმართებაში. სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკს უნდა გააჩნდეს ნათელი და გამჭვირვალე პოლიტიკა და პროცედურები კლიენტის პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით. ბანკში კლიენტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ბანკის მიდგომებს და წესებს პერსონალურ მონაცემთა მიმართ მოპყრობის შესახებ, უნდა ითვალისწინებდეს ბალანსს კლიენტის პერსონალურ მონაცემთა

დაცვის ინტერესებსა და ბანკის, როგორც სერვისის მიმწოდებლის ინტერესებს შორის, კლიენტს უნდა უქმნიდეს კანონის შესაბამის და რეალისტურ მოლოდინებს იმის თაობაზე, თუ როგორ იქნება დაცული მისი პერსონალური მონაცემები ბანკის მიერ, რა უფლებები ენიჭება მონაცემთა სუბიექტს - კლიენტს, და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის სავალდებულო არსებობას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, ეს კარგი საშუალებაა მოხდეს კლიენტის ინფორმირება, თუ რა მიზნით და რა მოცულობით დაამუშავებს ბანკი მის მონაცემებს ცალკეული პროდუქტების და სერვისების მიწოდებისას. პოლიტიკის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ შეთხვევებში, როდესაც ბანკს კანონმდებლობით აქვს დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის უფლება, თუმცა არ კონკრეტდება რას შეიძლება მოიცავდეს ეს ინფორმაცია. პოლიტიკის დოკუმენტში შეიძლება დეტალურად აღინეროს თუ რა ხასიათის ინფორმაციას მიიჩნევს ბანკი აუცილებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად და რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობს ამ ინფორმაციის მოთხოვნისას და დამუშავებისას.

სასურველია, ბანკის პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა საჯაროდ იყოს ხელმისაწვდომი ბანკის ვებგვერდზე. ამგვარი პრაქტიკა საკამოდ გავრცელებულია და ბანკისთვისაც ბევრ დადებით მხარეს მოიცავს, რადგან კლიენტს შეუძლია გაეცნოს პოლიტიკას ვიდრე მიიღებს სერვისს. ბანკს შეუძლია გამოიყენოს გავრცელებული პრაქტიკა და ვებგვერდზე განთავსებული ხელშეკრულების ძირითადი პირობების ანალოგიურად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა აქციოს საბანკო მომსახურების ხელშეკრულების ნაწილად. ნებისმიერ შემთხვევაში, ბანკის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პრინციპებს და დროის ნებისმიერ მომენტში უნდა შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს.



8. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სხვა შემთხვევები

გარდა კომერციული ბანკების და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ბანკის მიერ ხდება სხვა ტიპის პერსონალური მონაცემების დამუშავება. ყველაზე აშკარა მაგალითებია ბანკის, როგორც დამქირავებლის მიერ თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დამუშავება ან ბანკის სათაო დანესებულებასა თუ ფილიალებში ვიდეოჩანერის ორგანიზება. ასეთ შემთხვევებში, ბანკის საქმიანობა არ რეგულირდება საბანკო საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით და ბანკი ვალდებულია იხელმძღვანელოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და მის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტებითა³³ და სახელმძღვანელო პუბლიკაციებით³⁴, შრომის კანონმდებლობით, ასევე, თანამშრომელთან, როგორც დაქირავებულთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

33 ხელმისაწვდომია <https://personaldata.ge/ge/legislation/inspektoris-brdzanebebi>.

34 ხელმისაწვდომია <https://personaldata.ge/ge/publications/recommendations>.

9. მომხმარებლის პრეტენზიების განხილვა

ბანკის მიერ მომხმარებელთა პრეტენზიის განხილვის მექანიზმის შექმნის ვალდებულებას ითვალისწინებს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეგულაცია,³⁵ რომლის თანახმად, ფინანსურ ორგანიზაციას, მათ შორის - ბანკს, უნდა ჰქონდეს პრეტენზიების წერილობითი და ელექტრონული ფორმით მიღების/განხილვის სტანდარტული პროცედურა. პრეტენზიების განხილვის მექანიზმი ემსახურება კლიენტის ყველა იმ განცხადების განხილვას, რომლითაც იგი გამოხატავს რაიმე ტიპის უკმაყოფილებას, დაუთანხმებლობას, საჩივარს საფინანსო ორგანიზაციის და/ან მისი ნებისმიერი პროდუქტის მიმართ. მუხლის ფორმულირება იმდენად ფართოა, რომ თავისუფლად შეიძლება მოიცვას მომხმარებლების პრეტენზიები ბანკის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების ფორმისა თუ შინაარსის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ თავად ამ წესის დანიშნულება არ იყო უშუალოდ ამ მიმართულებით პრეტენზიების განხილვის მექანიზმის შექმნა. გასათვალისწინებელია, რომ ბანკს არ გააჩნია ვალდებულება პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული პრეტენზიები განიხილოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი პროცედურის შესაბამისად, თუ ეს პრეტენზია არ ხვდება ამავე რეგულაციით დადგენილ ჩამონათვალში.

კანონი ითვალისწინებს მონაცემთა სუბიექტის უფლებას მოითხოვოს როგორც მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ინფორმაცია, გაითხოვოს თანხმობა მონაცემთა დამუშავების შესახებ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ასევე, მოითხოვოს არასწორი, არაზუსტი ან კანონის დარღვევით დამუშავებული ინფორმაციის წაშლა, დაბლოკვა ან განადგურება.³⁶ კანონის საფუძველზე განსაზღვრული როგორც პრეტენზიის წარდგენის ფორმები, რაც შესაბამისობაშია ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ პროცედურასთან, ასევე ვადებიც. ბანკი არ არის ვალდებული შეასრულოს მომხმარებლის მოთხოვნა დამუშავებული პერსონალური მონაცემების შეცვლის, წაშლის, დაბლოკვის ან განადგურების

35 ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების განხილვის მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი; საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N 151/04; მუხლი 11

36 კანონი, მუხლები 21, 22, 25;

შესახებ, თუ ეს გამოიწვევს მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესების³⁷ (მათ შორის - დანაშაულის გამოვლენა, გამოძიება და აღკვეთა) შელახვას ან მონაცემთა სუბიექტისა თუ მესამე პირების უფლებების თუ თავისუფლებების შეზღუდვას. მაგალითად, კლიენტის პრეტენზია მას მიენოდოს ინფორმაცია მისი საბანკო ანგარიშების მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მონიტორინგის გამოყენების შესახებ, ვერ იქნება დაკმაყოფილებული, ვინაიდან ის ხელს შეუშლის დანაშაულის გამოძიებას.

მიუხედავად პირდაპირი მითითებისა მონაცემთა ჩასწორების, დაბლოკვის ან წაშლის უფლების შეზღუდვაზე, ეს დებულება ვინ როდ უნდა იქნას განმარტებული, რადგან რთულია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესების ან თავად მონაცემთა სუბიექტის თუ სხვათა უფლებებით დასაბუთდეს პირის შესახებ არასრული, არაზუსტი ან კანონის მოთხოვნათა სანინალმდეგოდ დამუშავებული მონაცემების შესწორების, დაბლოკვის, წაშლის ან განადგურების მოთხოვნა და ამ შემთხვევაში, ბანკმა კანონის მიზნებიდან და პრინციპებიდან გამომდინარე უნდა მოახდინოს რეაგირება.

საბანკო პროდუქტების ფარგლებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვა, გამოითხოვოს თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე, თუ ეს თანხმობა დაკავშირებულია ფულად ვალდებულებასთან.³⁸ ასეთი შეზღუდვის არარსებობის პირობებში, მომხმარებელს შეეძლებოდა მოეთხოვა მისი საკრედიტო ინფორმაციის წაშლა, რაც გაზრდიდა საფინანსო სექტორის რისკებს მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის პროცესში. პირის საკრედიტო ინფორმაცია, მათ შორის - დროულად შესრულებული, ვადაგადაცილებით შესრულებული თუ შეუსრულებელი ვალდებულებების შესახებ, მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მნიშვნელოვანი კომპონენტია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის ურთიერთობა, რომლის საფუძველზე მოხდა

37 სახელმწიფო უსაფრთხოების ან თავდაცვის ინტერესები, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, დანაშაულის გამოვლენა, გამოძიება და აღკვეთა, ქვეყნის მნიშვნელოვანი ფინანსური ან ეკონომიკური (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებულ) ინტერესები. კანონი, მუხლი 24

38 კანონი, მუხლი 25, პუნქტი 3;

ინფორმაციის დამუშავება, შეწყვეტილი ან დასრულებულია. თავად კანონის დანაწესიც არ აკონკრეტებს თუ რა პერიოდის განმავლობაში უნდა მოხდეს ამ ინფორმაციის დამუშავება. შესაბამისად, ამ ინფორმაციის მიმართაც უნდა მოხდეს კანონით გათვალისწინებული დამუშავების საფუძვლებისა და პრინციპების მისადაგება. როგორც ზემოთ იქნა განხილული, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ორგანული კანონის³⁹ საფუძველზე მიღებული რეგულაციებით⁴⁰ შეიქმნა როგორც ინფორმაციის დამუშავების საკანონმდებლო საფუძველი, ასევე განისაზღვრა მოთხოვნები ინფორმაციის დამუშავების სტანდარტის, მისი უსაფრთხოების და შენახვის მიმართ.

39 „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 52¹.

40 საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესი. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №193/04 ბრძანება; საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესი. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №195/04 ბრძანება.



10. ვინ არის პასუხისმგებელი?

საბანკო მომსახურების ფართო კონტექსტში, მონაცემთა დამამუშავებელი⁴¹ კომერციული ბანკია. თუმცა, პერსონალურ მონაცემთა დამამუშავების თითოეულ შემთხვევაში, კომერციული ბანკი თანამშრომლის ან უფლებამოსილი პირის⁴² მეშვეობით მოქმედებს. კანონი ითვალისწინებს უფლებებსა და ვალდებულებებს როგორც მონაცემთა დამამუშავებლის, ასევე უფლებამოსილი პირის მიმართ. კანონით გათვალისწინებული სანქციების რეჟიმი, ანალოგიურად, მორგებულია როგორც მონაცემთა დამამუშავებლის, ისე უფლებამოსილი პირის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დაწესების შესაძლებლობაზე. კონცეპტუალურად, დეფინიციიდან გამომდინარე, უფლებამოსილი პირი “ამუშავებს მონაცემებს მონაცემთა დამამუშავებლისათვის ან მისი სახელით”, შესაბამისად, პასუხისმგებლობაც, უწინარესად მონაცემთა დამამუშავებელს უნდა

41 კანონი, მუხლი 2, “ი” ქვეპუნქტი.

42 კანონი, მუხლი 2, “კ” ქვეპუნქტი.

დაეკისროს. თუმცა, რადგან უფლებამოსილი პირი, პრაქტიკაში, აღჭურვილია უფლებამოსილებით და შესაძლებლობით მონაცემთა დამმუშავებლის უშუალო მითითების/მოთხოვნის თუ მისი პირდაპირი კანონის ინტერესის არსებობის გარეშე დაამუშავოს მომხმარებლის ან სხვა პირის პერსონალური მონაცემები, ამ შემთხვევებისათვის, კანონი შეიცავს ჩანაწერს, რომელიც ავალდებულებს მონაცემთა დამმუშავებელსა და უფლებამოსილ პირს უზრუნველყონ, რომ ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამმუშავებაში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს.⁴³ შესაბამისად, კანონმდებლის მიდგომა პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამმუშავებისათვის სანქცია დააკისროს უფლებამოსილ პირს, ადეკვატურია იმ საფრთხეებისა, რასაც ამ მიმართულებით უფლებამოსილი პირის წინაშე მონაცემთა კანონსაწინააღმდეგო დამმუშავების შესაძლებლობები წარმოშობს. საყურადღებოა, რომ კანონი არ აკონკრეტებს მონაცემთა დამმუშავებელსა და უფლებამოსილ პირს შორის პერსონალური მონაცემების უკანონო დამმუშავების შემთხვევაში პასუხისმგებლობის გადანაწილების თვალსაზრისით შესაძლო სახელშეკრულებო თუ დელიქტური პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძველს. ეს, თავის მხრივ, საშუალებას აძლევს როგორც მონაცემთა დამმუშავებელს, ისე უფლებამოსილ პირს, მეორე მხარეს მოსთხოვოს სანქციის სახით მიღებული იმ ფინანსური ზიანის ოდენობა, რაც მას მიადგა მეორე მხარის მიერ პერსონალური მონაცემების კანონთან შეუთავსებელი გზით დამმუშავების გამო.

გასათვალისწინებელია, რომ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის⁴⁴ მე-17 მუხლი, რომელიც წარმოადგენს ბანკის მიერ კლიენტის საბანკო ინფორმაციის დაცვის ჩარჩოს, ასევე არ განსაზღვრავს თუ რომელ სუბიექტს შეიძლება დაეკისროს კანონმდებლობით განსაზღვრული სანქცია, თუ დაირღვა ამ მუხლის მოთხოვნები - კანონმდებელი, ამ შემთხვევაში, იყენებს ნეიტრალურ, უპირო ფორმას. თუმცა, ამავე კანონის 30-ე⁴⁵ მუხლზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეროვნული ბანკის უფლებამოსილება გამოიყენოს სანქცია კანონის, ამ შემთხვევაში - მისი მე-17 მუხლის, დარღვევისათვის, შემოიფარგლება უშუალოდ ბანკით,

43 კანონი, მუხლი 17, პუნქტი 4.

44 კომერციული ბანკების კანონი; მუხლი 17.

45 კომერციული ბანკების კანონი; მუხლი 30.

მისი ადმინისტრატორით ან მაკონტროლებელი პირით. შესაბამისად, ბანკის ის თანამშრომელი, რომლის უშუალო ქმედებამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს კომერციული ბანკების საქმიანობის შეახებ კანონის მე-17 მუხლის დარღვევა, არ დაექვემდებარება სანქციას საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან. სანქციები გათვალისწინებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით⁴⁶ და აღნიშნული შეიძლება გავრცელდეს როგორც მონაცემთა დამმუშავებელზე, ისევე როგორც უფლებამოსილ პირზე. ეს, რაღა თქმა უნდა, არ გამოორიცხავს ბანკის მხრიდან აღნიშნული თანამშრომლის მიმართ როგორც დისციპლინური, ისე სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებას.

თავის მხრივ, ბანკს უნდა გააჩნდეს მექანიზმი, უზრუნველყოს იმ თანამშრომლის პასუხისმგებლობა, რომელმაც მონაცემები დაამუშავა მონაცემთა დამმუშავებლის კანონიერი ინტერესის გარეშე. აღნიშნული ინცინდენტი მიჩნეულ უნდა იქნეს საოპერაციო რისკის ინცინდენტად (მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევისთვის პირდაპირი სანქცია ეროვნული ბანკის მხრიდან არ არის გათვალისწინებული, ბანკს აკისრია ვალდებულება უზრუნველყოს მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტი; ხოლო ამ მოთხოვნის სისტემატურმა შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს როგორც სანქციების, ისე იურიდიული და რეპუტაციული რისკები); თუ მოხდა „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საბანკო საიდუმლოების გამჟღავნება, შესაძლოა გამოყენებულ იქნას „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სანქცია ბანკის ან მისი ადმინისტრატორების მიმართ. ამასთან, ბანკი, შესაბამისი შიდა პროცედურების და სახელშეკრულებო დანაწესების არსებობის პირობებში, უფლებამოსილი იქნება შეისწავლოს თანამშრომლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი და განიხილოს მისთვის სამოქალაქო სამართლებრივი ფორმით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საკითხი.

46 კანონის მუხლები 43-54.



11. როგორ უნდა მოეხმავოს ბანკი GDPR-ის დასაწერებად?

GDPR ეყრდნობა იმ პრინციპების უმეტესობას, რომელსაც ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონი. თუმცა, მნიშვნელოვან სიახლეებს ნერგავს, მათ შორის, მონაცემთა დამუშავების პროცედურების თვალსაზრისით; ესენია, მონაცემთა პორტაბელურობა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შიდა პოლიტიკა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცირი. მონაცემთა პორტაბელურობის უზრუნველსაყოფად, ბანკმა უნდა უზრუნველყოს მომხმარებლისათვის მის ხელთ არსებული მონაცემების ელექტრონულად წაკითხვად ფორმატში სტრუქტურირებულად მიწოდება, რაც კლიენტს საშუალებას აძლევს აღნიშნული მონაცემები მიაწოდოს მონაცემთა სხვა დამმუშავებელს. GDPR-ის სავალდებულო მოქმედების ქვეშ მყოფი ბანკისთვის აუცილებელია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შიდა პოლიტიკის ქონა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცირის დაქირავება. ოფიცირი იზრუნებს თანამშრომელთა განგრობად ტრენინგზე, პოლიტიკებისა და პროცედურების განახლებაზე და კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, შეისწავლის ბანკში არსებული პრაქტიკული

პროცესების შესაბამისობას კანონის მოთხოვნებთან. ამასთან, ოფიცერი იქნება საკონტაქტო პირი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ოფისთან.

მნიშვნელოვნად გაიზარდა სანქციების ოდენობა სხვადასხვა დარღვევისთვის. რეგულაციის მიდგომაა, რომ სანქციები ადევნატური და ეფექტური უნდა იყოს, რათა დამმუშავებელს აღარ გაუჩნდეს დარღვევის ხელახლა ჩადენის სურვილი. GDPR-ის ნაკლებად მძიმე დარღვევისთვის მონაცემთა დამმუშავებელს შეიძლება დაეკისროს სანქცია წინა წლის ბრუნვის 2%-ამდე, ხოლო მძიმე დარღვევისთვის უდიდესი წინა წლის წლიური ბრუნვის 4%-სა ან 20 მილიონ ევროს შორის.

პოტენციურად, ქართული ბანკებიც შეიძლება დაექვემდებარონ სანქციებს GDPR-ის დარღვევისთვის, რადგან ისინი შესაძლოა მომსახურებას უწევდნენ ევროკავშირის მოქალაქეებს. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს GDPR-ის სავალდებულო ძალის პირდაპირი გავრცელების მექანიზმი, მნიშვნელოვანია ბანკებმა თავისი საქმიანობა წარმართონ ზედმინევენით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, რაც პოტენციური სანქციებისგან დაცვის მინიმალურ საფუძველს უზრუნველყოფს.

